ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/დ 132-21

"11" 02 2021 წ.

დადგენილება №000586
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

11.02.2021წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2021 წლის 11 თებერვლის №000586 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №405329764, დირ. გია ხოფერია (პირადი №01007011176), მის: ქ. თბილისი, შატბერაშვილის ხევი №13, ბ. №28) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ბუხაიძის I შესახვევი №6, საკ. კოდი №01.16.06.047.021-ში შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4448779 AR1656876 08.04.2019წ. №4522079 AR1674361 31.05.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: 1-7 ფასადზე: +12.40 ნიშნულზე შეცვლილია კედლის და გადახურვის ფორმა. ამავე ნიშნულზე 5-7 მონაკვეთში 7-7 ღერძისკენ კაპიტალურის ნაცვალად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. შენობის წინ მოწყობილ ლითონის დეკორატიულ სვეტებზე არ არის მოწყობილი მეტალის ბადე. ფასადზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერა. ა-დ ფასადზე: დამატებით მოწყობილია ფრანგული აივნები. 0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კედელი. ფასადის ნაწილი შესალესი და შესაღებია. გ-გ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. 7-1 ფასადზე: შეცვლილია კედლების მოწყობა. სახურავზე დამატებით მოწყობილია შახტები. ფასადის ნაწილზე დასასრულებელია ღებვა. 5-4 მონაკვეთში 15.50 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია ლიფტის სამანქანო და მის მიმდებარედ ლითონის მოაჯირი. დ-ა ფასადზე: შეცვლილია ფასადის მოპირკეთების ნახატი. შენობის ნაწილზე აგურით მოპირკეთების ნაცვლად მოწყობილია ღებვა. +12.40 ნიშნულის ზემოთ დასასრულებელია საბუხრე მილის მოპირკეთება. ფასადზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერი და გამწოვი მილი. გეგმების მიხედვით: შეცვლილია რელიეფის დონე და

ქ. თბილისი, 0160 ჟ. შარტავას ქ. №7 ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სართულის ნიშნულები. შეცვლილია სართულების სიმაღლე. შეცვლილია კოლონების რაოდენობა და მათი მოწყობა. +0.00 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილია ფართი (დაახლოებით 150მ2). +0.00 ნიშნულზე 5-7 მონაკვეთში დ-დ ღერძის გარეთ დამატებით მოწოყობილია კაპიტალური კიბე და ლითონის მოაჯირი. 1-5 მონაკვეთში შეცვლილია პანდუსების ფორმა და ადგილი. 1-2 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საფეხურები. 5-7 მონაკვეთში ბ-ბ ღერძის გარეთ გაუქმებულია ავზების განთავსებისთვის განკუთვნილი ფართი და კედელი მოწყობილია ბ-ბ ღერძზე. 4-5 მონაკვეთში ლიფტთან დამატებით მოწყობილია პანდუსი. 1-5 მონაკვეთში შეცვლილია ა-ა და დ-დ ღერძებს შორის მანძილი. ა-ა ღერძზე კიბის უჯრედში კედლის ნაწილი გასქელებულია. შეცვლილია ტიხრების მოწყობა, ნაწილობრივ შიდა კარების რაოდენობა. 5-5 ღერძზე შეცვლილია კარებს შორის მანძილი და შეცვლილია კარის გაღების მიმართულება. ბ-ა მონაკვეთში 5-5 ღერძზე შეცვლილია კედლის სიბრტყე. 0,00 ნიშნულის ზემოთ ყველა სართულზე ბ-ბ ღერძის გარეთ 3-2 მონაკვეთში შეცვლილია კედლის კონფიგურაცია და დამატებით მოწყობილია ფართი. კიბის უჯრედებში გაუქმებულია ფანჯრები. შეცვლილია აივნების გაბარიტები. ვიტრაჟებს და კარებს ნაწილობივ მონაცვლებული აქვთ ადგილი. +12,40 ნიშნულზე შეცვლილია კედლების მოწყობა. ა-ბ მონაკვეთში შემცირებულია გამწვანებისთვის განკუთვნილი სივრცე. ნაწილობრივ შეცვლილია შახტების მდებარეობა და რაოდენობა. შეცვლილია ვიტაჟების რაოდენობა. გ-დ მონაკვეთში 2-2 ღერძთან შემცირებულია ლითონის კონსტრუქციების სიგრძე. ამავე ნიშნულზე კიბის უჯრედში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია, კიბე და სახურავზე ასასვლელი ღიობი. შეცვლილია საზაფხულო და საცხოვრებელი ფართები. შენობაში არ არის მოწყობილი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების სისტემები.

2021 წლის 11 თებერვალს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000586 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №10/012034543-17 10.12.2020წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი”-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.გ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ბუხაიძის I შესახვევი №6, საკ. კოდი №01.16.06.047.021-ში შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი”-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4448779 AR1656876 08.04.2019წ. №4522079 AR1674361 31.05.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ,” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების შესახებ”, საქართველოს

კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ. ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი"** დაჯარიმდეს 10000 (ათი ათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. **შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „აპარტ დეველოპმენტი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მ. ჯაყელი

ელექტრონული საგადახდო დავალება No 0333

Transfer Order No 0333

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 10485875754

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს აპარტ დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE15BG0000000498362969GEL

თანხა/Amount
10000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ათი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს აპარტ დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405329764

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
18/02/2021

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
N 000586

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 0333

Transfer Order No 0333

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 10485875754

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს აპარტ დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE15BG0000000498362969GEL

თანხა/Amount
10000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ათი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს აპარტ დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405329764

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
18/02/2021

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
N 000586

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: